ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 75 (881) | კვირა, 18 სექტემბერი, 1955 წ. | გამოცემის მე-12 წელი | ფასი 30 კაპ.

ოლიმპიური პროგრამით

სტალინგრადში დამთავრდა სსრ კავშირის პირადი პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 120 უძლიერესი სპორტსმენი, ჩატარდა ოლიმპიური თამაშების პროგრამით და შედგებოდა ნებისმიერი და სავალდებულო ვარჯიშებისაგან.

ქალთა შორის თავისუფალ ვარჯიშსა და ორძელზე ვარჯიშში ჩვენი ქვეყნის 1955 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. მურატოვამ („დინამო", მოსკოვი), ძელზე ვარჯიშში — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. რუდკომ („ბურევესტნიკი", მოსკოვი). ბჯენით ხტომებში დიდი წარმატება ხვდა საქართველოს წარმომადგენელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. ჯუღელს. ტანვარჯიშის ამ სახეობაში პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ ლ. ლატინინა, ტ. ქალეევა და მ. ჯუღელი. ქართველმა სპორტსმენმა ბრწყინვალედ შეასრულა ვარჯიში და დაიმსახურა 9,6 ქულა, ლ. ლატინინას ვარჯიში შეფასდა 9,4 ქულით, ხოლო ტ. ქალეევასი — 9,2 ქულით. ამრიგად, ბჯენით ხტომებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი კვლავ მ. ჯუღელმა მოიპოვა.

ვაჟთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ: თავისუფალ ვარჯიშში სპორტის ოსტატი ნ. პოპოვი (საბჭოთა არმია, ტალინი), ღერძზე ვარჯიშში სპორტის ოსტატი ვ. პლისკო („სპარტაკი", კიევი). ორძელზე ვარჯიშში ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ჩუკარინმა („ბურევესტნიკი", ლვოვი), ტაიჭზე ვარჯიშში უმაღლესი შეფასება მიიღო და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. შაგინიანმა („სპარტაკი", ერევანი), ბჯენით ხტომაში გამარჯვებული გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ბერდიევი (საბჭოთა არმია, კიევი).

საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა რ. შარაბიძემ და ს. ჯაიანმა მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს, პირველმა — ბჯენით ხტომებსა და ორძელზე ვარჯიშში, ხოლო მეორემ — ღერძზე ვარჯიშში.

• • •

სურათებზე — მარცხნიდან მ. ჯუღელი, ს. ჯაიანი და რ. შარაბიძე.

ინდოეთი (ნაკრები)— საბჭოთა კავშირი (ნაკრები)

15 სექტემბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები.

შეხვედრა მოიგეს ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელებმა.

მორიგ საერთაშორისო შეხვედრას ინდოელი ფეხბურთელები ჩაატარებენ ხვალ, ლენინგრადში. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი კი გაემგზავრება ბუდაპეშტში, სადაც 25 სექტემბერს ითამაშებს უნგრეთის ნაკრებთან.

უმაღლესი მწვერვალებისაკენ!

1923 წელს საქართველოს ალპინისტთა ჯგუფმა, ცნობილი მთამსვლელის და საზოგადო მოღვაწის გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით დაიპყრო კავკასიონის ერთ-ერთი უმაღლესი პიკი — მყინვარწვერი. ამ დღიდან ალპინიზმს დასაბამი მიეცა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

გადიოდა დრო. ინტელიგენციის, მუშათა და კოლმეურნე გლეხობის რიგებიდან აღიზარდნენ ისეთი მუხლმაგარი ჭაბუკები, რომლებმაც დაიმორჩილეს კავკასიონის მიუვალი მთები — გამარჯვებულნი გამოვიდნენ ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში. საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას მარად ეხსომება მამაცი მთამსვლელების ძმები ჯაფარიძეების, დვალის, მიქელაძის სახელები. მათ უყვარდათ მშობლიური მთები, მარადთოვლიან მწვერვალებთან ჭიდილი მათი მოწოდება იყო. მათი ლამაზი სიცოცხლე კავკასიონის შესწავლის კეთილშობილურ საქმეს შეეწირა.

თანდათან მტკიცდებოდა და იზრდებოდა საქართველოს ალპინისტთა რიგები, ალპინიზმში მოვიდა ახალი, ფიზიკურად ძლიერი და უშიშარი თაობა. სპორტის ამ წარმტაც სახეობაში ჩაებნენ პერიფერიის ახალგაზრდები. ჩამოყალიბდა სექციები სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანასთან, რუსთავში, დუშეთში, ონში, მესტიაში შეიქმნა ალპინიზმის მოყვარულთა ძლიერი ჯგუფები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ალპინიადებს — მასობრივ ლაშქრობებს.

მასობრივ ლაშქრობებში გამოიწვრთნენ ისეთი მთამსვლელები, რომლებმაც გმირული ასვლებით, ტრავერსებით არაერთხელ ასახელეს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო. ჯერ იყო და ი. მარის ხელმძღვანელობით მოწყობილმა უშბა-შხელდის მამაცურმა ტრავერსმა აალაპარაკა საბჭოთა კავშირი, შემდეგ პამირის შარშანდელმა ექსპედიციამ, წელს კი მამაცმა ქართველმა ალპინისტებმა ორი დიდი გამარჯვება ჩაწერეს საბჭოთა ალპინიზმის განვითარების ისტორიაში. პამირის ქედზე დაიპყრეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალი — სტალინის პიკი, კავკასიონზე კი სამხრეთ უშბის დასავლეთ კედლის გავლით — უშბა.

ორივე ექსპედიციის შედეგი საუკეთესოა მიმდინარე წლის სპორტულ სეზონში. ეს ორივე გამარჯვება მიღწეულ იქნა საქმისადმი უანგარო სიყვარულის, დიდი დაკვირვებულობის, წინასწარი ბეჯითი სამზადისის შედეგად.

ახლა საჭიროა მოპოვებული წარმატებების განმტკიცება და ახალი გაბედული გეგმების შედგენა. უმაღლესი მწვერვალებისაკენ, ურთულესი კედლებისაკენ! — აი, საითკენ მიისწრაფიან ჩვენი ალპინისტების გულები, ამისათვის საჭიროა საიმედო რეზერვის შექმნა. როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, ალპინიზმისადმი დიდ მისწრაფებას იჩენს მთიანი რაიონების ახალგაზრდობა. მესტიის, ლენტეხის, ყაზბეგის, დუშეთის რაიონებში აღიზარდნენ ისეთი მამაცი ახალგაზრდები, რომლებიც კვალდაკვალ მიჰყვებიან უფროს თაობას, სწავლობენ მათგან.

საქართველოს ალპურმა კლუბმა, ალპინისტთა რესპუბლიკურმა სექციამ უფრო ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ რაიონების ალპინისტურ სექციებს, უფრო ახლო ურთიერთობა უნდა დაამყარონ მათთან.

საქართველოს ალპინისტებისაგან, რომლებიც შესანიშნავ ტრადიციებზე აღიზარდნენ, საბჭოთა საზოგადოებრიობა ახალ-ახალ გამარჯვებებს მოელის.

უმაღლესი მწვერვალებისაკენ, ამხანაგებო!

უძლიერესთა ათეულში მონაწილეობისათვის

◆

წყალბურთში სსრ კავშირის 1955 წლის პირველობის წინასწარი შეჯიბრება

◆

1951 წლის შემდეგ, როცა თბილისში გაიმართა ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშება წყალბურთში, აქ ასეთი დიდი მასშტაბის საკავშირო შეჯიბრება, რომელიც გუშინ ფიზკულტურელის პარკის საზაფხულო საცურაო აუზში გაიხსნა, არ მოწყობილა. 17 სექტემბრის ღრუბლიანმა დილამ რამდენადმე გუნება გაუფუჭა სსრ კავშირის 1955 წლის პირველობის წინასწარი შეჯიბრების მონაწილე სპორტსმენებსა და სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს. მაგრამ პირველი მატჩის დაწყებისთანავე მზის მცხუნვარე სხივები მოეფინა ცისფრად მოლივლივე საცურაო აუზს და ნაირფერ დროშებით მორთულ ტრიბუნებს.

გათამაშება გახსნეს ერთ-ერთმა უძლიერესმა კოლექტივმა—მოსკოვის „ტორპედომ" და კიევის „დინამომ". თამაშის პირველი წუთებიდანვე შეტევაზე მოსკოველები გადავიდნენ და მალე მეკარე კურისკოს თავგანწირულმა ნახტომმა კიეველები აშკარა გოლისაგან იხსნა. მხოლოდ მეცხრე წუთზე გახსნეს ანგარიში ტორპედოელებმა. მედვედევის, ეფიმოვისა და ზატევახინის კარგი კომბინაცია უკანასკნელმა გოლით დააგვირგვინა — 1:0. შესვენების შემდეგ ტორპედოელმა ეფიმოვმა ცენტრიდან ნატყორცნი ბურთი კიეველთა კარის ბადეში გახვია — 2:0. ამის შემდეგ მოსკოვის „ტორპედოს" გუნდმა კიდევ ორი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში, თავისაში კი ერთი მიიღო. მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 4:1.

როცა საცურაო აუზში ერთმანეთის პირისპირ ტალინის „დინამოსა" და როსტოვის „სპარტაკის" გუნდები მოეწყვენ, საწყლოსნო სპორტში გათვითცნობიერებულმა მაყურებლებმა ტალინელთა გუნდის შემადგენლობაში ცნობილი ოსტატები გ. პიარონი, ე. ედასი და ე. პრესი შენიშნეს. მატჩის დაწყებისთანავე ტალინელებმა მთელი ფრონტით შეუტიეს მოწინააღმდეგის კარს და მალე მათ ახლო მანძილიდან გახსნეს ანგარიში. ამას მოჰყვა 4 მეტრიანი საჯარიმო, რომელიც დაინიშნა სპარტაკელთა კარში და ანგარიში გახდა 2:0. შესვენებამდე ტალინელებმა კიდევ ორი ბურთით გაზარდეს ანგარიში. მეორე ტაიმში დინამოელები აშკარად ჯობნიდნენ სპარტაკელებს სისწრაფეში, კარში ზუსტად და ძლიერად ტყორცნებში. როსტოველები დამარცხდნენ ანგარიშით 8:2.

მინსკის ოფიცერთა სახლისა და გორკის „დინამოს" გუნდების თამაში საინტერესო გამოდგა. ამაზე იმანაც იმოქმედა, რომ ორივე კოლექტივი ერთნაირი სიძლიერის იყო. ანგარიში ორჯერ იყო ფრე — 2:2, 3:3, მაგრამ თამაშის ბოლო წუთებში მინსკელთა ერთ-ერთი იერიში კარის აღებით დამთავრდა. გაიმარჯვეს არმიელებმა — 4:3.

საღამოს ჩატარებული თამაშებიდან აღსანიშნავია ლენინგრადის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფტიანიკის" შეხვედრა. თამაშის დასაწყისიდანვე ლენინგრადის წყალბურთელთა ძლიერ კოლექტივს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ბაქოს გუნდმა, რომლის მოთამაშეები გააზრებულად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში იბნეოდნენ, ამასთან ჩქარობდნენ და მათ მიერ ნატყორცნი ბურთები მიზანს ვერ აღწევდა. ანგარიში ლენინგრადელებმა გახსნეს, რასაც ბაქოელებმა ბურთის გატანით უპასუხეს. მალე ანგარიში გახდა 2.2, ხოლო პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთზე წინ კვლავ დინამოელები გავიდნენ — 3:2.

შესვენების შემდეგ დინამოელებს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ და შეხვედრაც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 6:2.

ლვოვის „დინამოსა" და ალმა-ატის „ბურევესტნიკის" მატჩში გამარჯვებული გამოვიდნენ ლვოველი სპორტსმენები, რომელთაც შეხვედრა მოიგეს პირველი დღის სარეკორდო ანგარიშით — 12:0. პირველი კალენდარული თამაში ადვილად მოიგო თბილისის „დინამომ" უზბეკეთის ნაკრებთან. დინამოელებმა მოწინააღმდეგის კარში 9 „მშრალი" ბურთი გაიტანეს.

გ. ხარებოვი,
სპორტის ოსტატი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

მ. იტკინას მსოფლიო რეკორდი

მინსკში გამართულ მძლეოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა სპორტის ოსტატმა მ. იტკინამ. მან 400 მეტრი გაირბინა 54,5 წამში. ეს მიღწევა 0,5 წამით უმჯობესია ძველ მსოფლიო რეკორდზე, რომელიც ეკუთვნოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის სპორტსმენს უ. იურევიტც-დონატს.



ისევ დგიან

იდგნენ და სტუმრებს ელოდნენ
ალბათ,
მომსვლელი კაცი ჩანდა არც ერთი,
მხოლოდ ქახანი გაჰქონდა დაბლა
ზვავებს რისხვად და დელგმად
ასხლეტილთ.

იდგნენ, ელოდნენ ავდარიანნი,
თავზე ქაღარაგადანაყარი,
მათ რა იცოდნენ — ადამიანი
იყო ოცნებით მათზე მაღალი.

მათ მყინვარები მუხლით გადაქრეს,
ყველა მთა მათი მასპინძელია,
თუმცა დამარცხდნენ მთები ათასჯერ,
დგანან, დგანან და ისევ ელიან.

ი. არაბული.

საჯარო ბიბლიოთეკა

საექიმო დაკვირვება მოზარდ კალათბურთელებზე

ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემაში სპორტულ თამაშებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კალათბურთში სისტემატურად მოვარჯიშე მოზარდთა და ჭაბუკთა ორგანიზმის მორფოლოგიური და ფუნქციონალური მდგომარეობის შესწავლის მიზნით 15-16 წლის ასაკის 124 მოსწავლეზე სამი წლის განმავლობაში ტარდებოდა სისტემატური დაკვირვება. საცდელ ჯგუფში შედიოდა 68, საკონტროლოში კი 56 მოსწავლე. საცდელი ჯგუფის მოსწავლენი სისტემატურად ვარჯიშობდნენ კალათბურთში, საკონტროლოსი კი მეცადინეობდნენ მხოლოდ სასკოლო პროგრამით.

შესწავლილ იქნა ნერვული, გულსისხლძარღვა და სასუნთქი სისტემები, მოეწყო ანთროპომეტრიული დაკვირვებანი (სიმაღლის, წონის, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის და ა. შ. დადგენის მიზნით). შემოწმება ტარდებოდა დინამიკაში: საცდელ ჯგუფში ყოველ ექვს თვეში, ხოლო საკონტროლოში—წელიწადში ერთხელ. ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად გამოირკვა, რომ მოზარდის ორგანიზმზე კალათბურთში მეცადინეობა დადებითად მოქმედებს, ცხადი გახდა, რომ ისეთი მაჩვენებლების ნამატი, როგორიცაა წონა, გულმკერდის გარშემოწერილობა, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, ხელის და წელ-ზურგის ძალა და სხვა, გაცილებით ჭარბობენ საცდელ ჯგუფში, საკონტროლოსთან შედარებით.

სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნერვული სისტემის მდგომარეობაზე დაკვირვებებმა (ცალკეული ცდებისა და რეაქციების საშუალებით). და ანამნეზიდან სათანადო მონაცემებმა ძირითად ნერვული პროცესების მიმდინარეობის ხასიათზე კალათბურთში ხანგრძლივი წვრთნის დადებითი გავლენა გვიჩვენა. გამოკვლევებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სისხლის მიმოქცევის სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის გამოვლინებას, როგორც ორგანიზმის შრომისუნარიანობისა და გაწვრთნის ხარისხის განსაზღვრისათვის, აგრეთვე გადაწვრთნის ადრეული სიმპტომების დროულად გამოსაცნობად.

ამ მიზნით გამოყენებულ იქნა კომბინირებული, ფუნქციონალური სინჯი (სისწრაფესა და ამტანობაზე), ვინაიდან დატვირთვები, რომლებიც შედიან გამოკვლევების კომპლექსში, როგორც გავლენის ხასიათით, ასევე თავისი ზოგადი ფიზიოლოგიური მოქმედებით, სრულიად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და, რაც მთავარია, ტიპიურია კალათბურთისათვის.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კალათბურთში ხანგრძლივი, სისტემატური ვარჯიშის გავლენით მოზარდებსა და ჭაბუკებს აღენიშნებათ პულსის სიხშირის შემცირება და სისხლის წნევის დონის მცირე დაქვეითება. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის შეგუება კომბინირებული ფუნქციონალური სინჯის დატვირთვებზე საცდელ ჯგუფში ბევრად უკეთესია საკონტროლოსთან შედარებით, რაც გამოიხატება არა მარტო პულსის რაოდენობისა და სისხლის წნევის შემცირებაში, არამედ მათი აღდგენითი პერიოდის შემოკლებაშიც, რომელიც დაკვირვების საწყის პერიოდში ორთავე ჯგუფში ერთნაირი იყო. უკანასკნელი შემოწმებისას ცდის ყველა პირი, ერთის გარდა, იძლეოდა ნორმოტონური ხასიათის რეაქციას.

ზემოაღნიშნული, სხვა სინჯებთან (სუნთქვის შეჩერება და სხვ.) შეხამებით და აგრეთვე კლინიკურ, ლაბორატორიულ და რენტგენოლოგიურ მონაცემებთან ერთად ლაპარაკობს კალათბურთელების სისხლძარღვოვანი სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის აშკარა უპირატესობის შესახებ იმ პირებთან შედარებით, რომლებიც არ ვარჯიშობენ კალათბურთში.

სისტემატურმა საექიმო და პედაგოგიურმა დაკვირვებამ საშუალება მოგვცა ბევრ შემთხვევაში შეგვეტანა ცვლილება დღემდე არსებული სასწავლო-საწვრთნელი მეთოდიკის ზოგიერთ პუნქტში, კერძოდ, ჩვენი რეკომენდაციის შედეგად გადიდებულ იქნა ზოგადი განმავითარებელი ვარჯიშების მოცულობა მეცადინეობის დროს.

შესაძლებელი გახდა დროულად გამოგვეცნო გადაწვრთნის რამდენიმე შემთხვევა, რის შედეგად მიღებულ იქნა ზომები აღნიშნულ პირთა სავარჯიშო რეჟიმის სათანადოდ შეცვლისათვის.

ი. გაგაშვილი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

სპორტსმენ მეხანძრეთა წარმატება

კიევში დამთავრდა სახანძრო დაცვის X საიუბილეო საკავშირო შეჯიბრება სპორტის სახანძრო გამოყენებით სახეობებში.

საქართველოს გუნდი მონაწილეობდა მეორე ჯგუფში. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა კარგად ჩაატარეს შეჯიბრება და დაიკავეს პირველი ადგილი. მომავალ წელს ისინი გადაყვანილ იქნებიან პირველ ჯგუფში.

აღსანიშნავია დარციმელიასა და სარიშვილის წარმატება. მათ მოიპოვეს სახანძრო დაცვის საკავშირო ჩემპიონის წოდება.

გ. მამისაშვილი



მოსკოვში ჩატარებულ ინგლისელ და საბჭოთა მძლეოსნების შეხვედრის მომენტები. მარცხნიდან — ვ. კუცი (სსრკ) დისტანციაზე. შუბის ტყორცნაში გამარჯვებული ა. ჩუდინა, ინგლისელი ტ. ჰოპკინსი სიმაღლეზე ხტომის დროს.

ფოტო ვ. ხემიონოვისა.

ღია აუზში

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ცურვაში

◆

თბილისის ფიზკულტურელის პარკის საზაფხულო აუზში 4 დღეს გრძელდებოდა ჩვენი რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა ცურვაში. წინა წლებისაგან განსხვავებით ჩატარებული ღონისძიება მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩეოდა (მონაწილეობდა 164 სპორტსმენი, აქედან 63 ქალი).

პირველ ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის გუნდი, მეორე ადგილი წილად ხვდათ აჭარის, მესამე — აფხაზეთის წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ მეორე ჯგუფში წელს პირველად მონაწილეობდნენ გაგრის, ოჩამჩირის, ახალციხისა და ზესტაფონის მოცურავეები. გაიმარჯვეს ახალციხელმა სპორტსმენებმა.

საინტერესო იყო ქალთა შეჯიბრება 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. გამარჯვებული მხოლოდ უკანასკნელ მეტრებზე გამოვლინდა. ჩემპიონის წოდება წილად ხვდა თბილისელ ხოლოდს, მისი დრო 3.21,2. მას ერთი წამით ჩამორჩა ამავე გუნდის წარმომადგენელი ბულახოვა. ნორჩი მოცურავე კრილოვა მესამე ადგილზე გამოვიდა.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა ვაჟთა შეჯიბრება ამავე დისტანციაზე. მაყურებელთა ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ ასპარეზობაში მონაწილეობდა საქართველოს რეკორდსმენი და გასული წლის ჩემპიონი თბილისელი ბუკარევი. მისი უახლოესი მეტოქე იყო სოხუმელი მოსწავლე პეტრულევიჩი. ბუკარევი ამაოდ ცდილობდა წინ გაჭრილიყო, სოხუმელი ენერგიულად მისდევდა მხარდამხარ, ფინიშთან გაასწრო კიდევაც და პირველმა დაამთავრა დისტანცია (2.52,6).

ცუდი ამინდის მიუხედავად 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კარგ შედეგს მიაღწია თბილისელმა მოსწავლე ნიკიტინმა. რომელმაც ეს მანძილი 5 წუთსა 02,1 წამში დაფარა, რაც პირველი თანრიგის შედეგს აღემატება, მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ოვანესიანი და ტულუპოვი (ორივე თბილისიდან). ქალთა შორის სპორტის ამ სახეობაში ჩემპიონი გახდა თბილისელი სმირნოვა — 6.26,0.

ასპარეზობის დასასრულს გამარჯვებულ გუნდებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ჟეტონები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. შეჯიბრება ჩატარდა ორგანიზებულად. დამაკმაყოფილებლად მუშაობდა მსაჯთა კოლეგია (მთავარი მსაჯი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლ. იოაკიმიდი).

მოგვყავს სხვა შეხვედრების ტექნიკური შედეგები:

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა: **ვაჟები.** 1. ბართაევი (თბილისი) — 1.02,8, 2. ჩერნიშევი (თბილისი) — 1.04,4; 3. ჩოდრიშვილი (თბილისი) — 1.06,3. **ქალები.** 1. რ. არკადიევა (თბილისი) — 1.16,9; 2. ბუნინა (ფოთი) 1.20,9; 3. ნ. მარგუნენკო — (თბილისი) — 1.21,4.

100 მეტრზე ზურგზე ცურვა. **ვაჟები.** 1. კამენსკი (თბილისი) — 1.13,5; 2. პისკარევი (თბილისი) — 1.17,8; 3. ვ. ჩერნიშევი (ბათუმი)—1.18,1. **ქალები.** გიორგაევსკაია (თბილისი) — 1.26,4; 2. სოროკინა (თბილისი) — 1.29,6; 3. კალმიკოვა (ბათუმი) — 1.31,7.

200 მ. ბატერფლაით (დელფინი). **ვაჟები.** 1. ლისიკოვი (თბილისი) — 2.56,7; 2. მეგედი (თბილისი) — 2.59,8; 3. დურნევი (სოხუმი) — 3.06,4.

კომბინირებული ამინათცურვა 4×100 მეტრზე.

ვაჟები. 1. თბილისი (4. 57,0), 2. სოხუმი (5.06,1), 3. ბათუმი—(5.08,1). **ქალები.** 1. თბილისი — (5.53,2), 2. ბათუმი — 6.12,2; 3. თბილისის მეორე გუნდი — 6.21,1.

თავისუფალი სტილით ამანათცურვა 4×200.

ვაჟები: 1. თბილისის პირველი გუნდი — 9.48,2, 2. თბილისის მეორე გუნდი — 10.05,2, 3. ბათუმი — 10.41,3.

ა. ბარნოვი

გროსმაისტერებისა და ოსტატების მონაწილეობით

მეხუთე ტურში აზერბაიჯანთან სამ გადადებულ პარტიაში საქართველოს მოჭადრაკეებმა ორი ქულა მოიპოვეს. მატჩის საბოლოო შედეგი 5:3 ჩვენს სასარგებლოდ.

მოლდავეთთან შეხვედრაში ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო სიმტკიცე. მართალია, კაკაბაძემ და გოგიავამ დაამარცხეს გერმანი და კაზაცკერი, მაგრამ ბუსლაევმა და გურგენიძემ შეხვედრები წააგეს რეგენბოგენთან და გუტერმანთან. სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. გიორგაძემ მოუგო ზლოტნინს. მატჩის შედეგია 4,5:3,5 საქართველოს მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

უკანასკნელ ტურში საქართველოს გუნდი შეხვდა რსფსრ-ს ძლიერ კოლექტივს და განიცადა დამარცხება — 3:5. ნახევარფინალური შეჯიბრებები დამთავრდა. პირველი ჯგუფიდან ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: ლენინგრადის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიისა და უზბეკეთის მოჭადრაკეებმა, მეორე ჯგუფიდან ფინალში გავიდნენ: რსფსრ-ს, მოსკოვის, ბელორუსიის, საქართველოსა და ესტონეთის გუნდები. გამარჯვებულები განაგრძობენ ბრძოლას საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდების მოსაპოვებლად.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

თავისი ლაზათი დავუბრუნოთ ქართულ ჭიდაობას

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭიდაობა. ერთიორად გაიზარდა სპორტის ამ სახეობაში მომეცადინეთა რიცხვი. ამან განაპირობა ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს მსოფლიო და საკავშირო სარბიელზე.

ცნობილია, რომ ქართული ჭიდაობის მრავალფეროვანი და ეფექტური ფანდების უხვად გამოყენებამ შესამჩნევად გაამდიდრა თავისუფალი ჭიდაობა. მაგრამ არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის დიდი ნაკლი, რომელიც ქართულ ჭიდაობას და სპორტის ამ სახეობაში მოწყობილ შეჯიბრებებს გააჩნია. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ხალხის ამ საყვარელ სპორტს თანდათან ხელიდან ეცლება ის შნო და ლაზათი, რაც წარსულ წლებში ჰქონდა.

ამას წინათ თბილისში მოეწყო საქართველოს გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. რა იხილა სარბიელზე ჭიდაობის მოყვარულმა საზოგადოებამ? ზოგიერთი ფალავანი მოწინააღმდეგეს ისე გაურბოდა, თითქოს ჩოხა ძალით ჩააცვესო. არც თვითონ ფიქრობდა ფანდის გაკეთებას და არც მოწინააღმდეგეს აძლევდა ფანდის ჩატარების საშუალებას. ასე ძიძგილაობაში გაჰყავდათ ჭიდაობისათვის განკუთვნილი დრო. არ იყო ფანდების მრავალფეროვნება, შეტევის სიმწვავე, ვაჟკაცური ბრძოლა. ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც საშუალო წონის მოჭიდავეთა შეხვედრას უყურებდა, გულისტკივილით თქვა: ამას წინათ თავისუფალი ჭიდაობის შეჯიბრებას ვუყურებდი, იქ სპორტსმენები ქართული ჭიდაობის უფრო მეტ ფანდებს ხმარობდნენო.

ახალგაზრდის სწორი შენიშვნა მოიწონეს ძველი თაობის წარმომადგენლებმა და თან თავიანთი ახალგაზრდობის დროინდელი ჭიდაობა გაიხსენეს. ამას მოჰყვა ცხარე კამათი, ზოგი გადამეტებით აფასებდა ძველი თაობის ფალავნებს, ზოგი ახალს, მაგრამ ისინი ძირითადში მართალნი იყვნენ. ამ ბოლო ხანებში შესამჩნევია, რომ ქართულ ჭიდაობას თავისი ეროვნული, დამახასიათებელი თვისება თანდათან ეკარგება. მოჭიდავე, რომელმაც მომგებიანი ქულა მოიპოვა, აღარ აგრძელებს შეტევას, გაურბის აქტიურ ჭიდაობას, რაც ქართული ჭიდაობისათვის ყოვლად შეუფერებელია, ამის გამო ბრძოლას ელფერი ეკარგება და წყვილთა შებმა უინტერესოდ, დუნედ ტარდება.

ქართული ჭიდაობის რესპუბლიკურმა სექციამ ამ სავალალო მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

გ. დარისპანაშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

რედაქციის ფოსტიდან

როდის მოგვაქცევენ ყურადღებას?

ყვარელის რაიონის ახალსოფლის ახალგაზრდებს გვიყვარს ფიზკულტურა და სპორტი, საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობის დამთავრების შემდეგ ხშირად ვვარჯიშობთ საკუთარი ძალებით მოწყობილ ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე, ფიზკულტურის კომიტეტისა და „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მუშაკებისაგან „არალეგალურად“ შექმნილი გუნდებიც. წვრთნაში დახმარებისათვის რამდენჯერმე მივმართეთ მათ, მაგრამ ამაოდ. შედეგმაც მალე იჩინა თავი. ამას წინათ გურჯაანის რაიონის ველისციხის ფიზკულტურელებთან ფრენბურთსა და ფეხბურთში ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრებში დავმარცხდით.

მოახლოვდა რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადების ჩატარების დრო, ყვარელში კი ამისათვის სათანადოდ არ ზრუნავენ. საინტერესოა როდის მოგვაქცევენ ყურადღებას?

სოფლის ფიზკულტურელები:

კ. ჯანელიძე,
დ. დათიაშვილი,
ა. ჯიმალაშვილი,
ქ. გელაშვილი.

ნაკლოვანებას გამოვასწორებთ

გაზეთ „ლელოს“ 11 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ფოტომხილება საგარეჯოს სტადიონის შესახებ. მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, შემოუღობავ სტადიონზე ხშირად დათარეშობდა პირუტყვი, მოსასწორებელი და გასასუფთავებელი იყო სტადიონის ზედაპირი. კაჭრეთის რაიონის კომკავშირელ-ფიზკულტურელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩავატარეთ. რაიონის ახალგაზრდობის ძალებით შესრულდა 4.500 კუბმეტრი მიწის სამუშაო, მოსწორდა 10.625 კვ. მეტრი ფართობი. სამუშაოები გრძელდება.

წელს სტადიონს ქუჩის მხრიდან გავუკეთებთ ღობეს. მოვაწყობთ სარბენ ბილიკებს, ფრენბურთის მოედანს და სხვ.

გვაქვს უფრო მტკივნეული საკითხიც, რაიონში განვიცდით სპორტული დარბაზის უქონლობას. საჭიდაო ლეიბები და სხვ. ინვენტარი ჩემს სამუშაო ოთახშია, მაშინ, როცა ადმინისტრაციულ სახლში საბილიარდოს საკმაოდ დიდი ოთახი (20×4,5) უკავია.

შ. გზირიშვილი,
ფიზკულტურისა და სპორტის საგარეჯოს რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარმოს კვანძის უკანასკნელი გამოცანა

◆

ო. გიგინეიშვილი,
ექსპედიციის უფროსი.

◆

ღარმოს ყინვარის პირას დიდი ლოდის წინ ვიდექით და ვცდილობდით ამოგვეკითხა ჟამთა რბოლის მიერ წაშლილი წარწერა. ქვას კიდევ შემორჩენოდა ასოები „გოლ“. წარწერა ეკუთვნოდა 1916 წლის რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციას, რომელიც მაშინ უცნობი რაიონის გამოკვლევას ცდილობდა. არავინ იცოდა, თუ რა ხდებოდა მდინარეების მუქ-სუს, ვანჩისა და ობიხინგოუს შუა მოქცეულ ტერიტორიაზე. ამ რაიონზე ისე, როგორც აღმოსავლეთ პამირზე, არ გადიოდა საქარავნო გზები, აქ არც მოსახლეობა იყო, ძლიერი ყინვარები საიმედოდ კეტავდნენ ხეობებს, ხოლო შორს, ხეობების სიღრმეში აღმართული თოვლიანი ქედები და მწვერვალები კიდევ ერთხელ ამტკიცებდნენ, თუ რამდენად შეუვალი იყო ეს ადგილები.

ამ უცნობი ტერიტორიის გამოკვლევა პირველად აღმოსავლეთიდან სცადეს. აქ იპოვეს დიდი უსახელო ყინვარი სიგრძით თითქმის 80 კილომეტრი, მას პამირის მკვლევარის ფედჩენკოს სახელი უწოდეს, დაინახეს ამ ყინვარის შენაკადები, მაგრამ ქედების ზუსტი მიმართულებისა და მწვერვალების სიმაღლის აზომვა ვერ მოახერხდა. ვერავინ შეძლო აგრეთვე ამ რაიონის ქედების გადაკვეთა და „თეთრი ლაქის“ აღმოსავლეთ კიდიდან დასავლეთ კიდეზე გადასვლა. ამიტომ მკვლევარებმა მიმართულება იცვალეს და „თეთრი ლაქის“ რაიონში შესვლა დასავლეთიდან სცადეს. პირველად ამ ამოცანის შესრულება ითავა რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ 1916 წლის ექსპედიციის მოწყობით. ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ასტრონომი ი. ბელიაევი. ადგილობრივი ტაჯიკებიდან ექსპედიციამ გაიგო, რომ ამ რაიონში არსებობს მეტად მაღალი მწვერვალი ღარმო, რომ ეს მწვერვალი უმაღლესია ამ რაიონის ყველა სხვა მწვერვალს შორის. ტაჯიკები მიუთითებდნენ კიდეც მასზე — ეს იყო გრანდიოზული მასივი, რომელიც თავს ადგა ყველა გარშემო მწვერვალსა და ქედს და თავისი ტანით ჰკეტავდა მდინარე ღარმოს ხეობას.

ბელიაევის ექსპედიცია მდინარე ღარმოს სათავეებში მიადგა ძლიერ ყინვარს, აჰყვა მას, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ შეჩერდა დიდ ყინულვარდნილთან. მისი ნაპრალების გადალახვა აღემატებოდა ექსპედიციის წევრების ძალას. ღარმოს ყინვარიდან ბელიაევმა დაინახა მრავალი მეტად მაღალი მწვერვალი, რომლებიც ქვევიდან არ ჩანდნენ. ეს კიდევ უფრო ართულებდა ისედაც თავსატეხ ამოცანას — თუ რომელი მწვერვალია „თეთრი ლაქის“ ქედების ლაბირინტის ცენტრი. ბელიაევის აზრით ასეთი უნდა ყოფილიყო ღარმო. ღარმოს მწვერვალი კი, რომელიც მას ტაჯიკებმა დაანახეს, საკმაოდ იყო დაშორებული მის მიერ დანახულ მწვერვალთა ჯგუფს, სადაც ყველაზე მაღალს სწორი პირამიდის სახე ჰქონდა. ამიტომ ბელიაევმა იფიქრა, რომ ტაჯიკები ღარმოდ ალბათ ამ პირამიდას გულისხმობენ. მან ვარსკვლავებით გამოიანგარიშა პირამიდალური მწვერვალის მიახლოებითი კოორდინატები და გადაიტანა რუკაზე. სინამდვილეში ბელიაევს საქმე ჰქონდა მანამდე სრულიად უცნობ მწვერვალთან. მაგრამ ბელიაევი მართალი იყო ერთში — მის მიერ შეცდომით ღარმოდ მიღებული მწვერვალი მართლაც წარმოადგენდა „თეთრი ლაქის“ ქედების ცენტრს.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ახალი ძალით დაიწყო „თეთრი ლაქის“ შესწავლა. ამ რაიონმა ისეთივე ყურადღება მიიპყრო, როგორც არქტიკამ. საკავშირო მეცნიერებათა აკადემია ყოველწლიურად აწყობდა კომპლექსურ ექსპედიციებს ღარმოს რაიონში. მასში მონაწილეობდნენ გეოგრაფები, ტოპოგრაფები, ბოტანიკოსები, გეოლოგები და მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლები, მონაწილეობდნენ აგრეთვე მთამსვლელებიც. ექსპედიციები მუშაობდნენ მუქ-სუს, ობიხინგოუსა და ვანჩის მხრიდან და ყოველწლიურად უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდნენ „თეთრი ლაქის“ სიღრმეში. ამ ექსპედიციების მოქმედების მთავარ მიმართულებას კი წარმოადგენდა მიმართულება აღმოსავლეთიდან, ფედჩენკოს მყინვარის მხრიდან. ექსპედიციების ერთ მთავარ მიზანს და ღარმოს კვანძის შესწავლის უმნიშვნელოვანეს პირობას „თეთრი ლაქის“ აღმოსავლეთ კიდიდან დასავლეთ კიდეზე გადასვლა წარმოადგენდა. ამისათვის საჭირო იყო უღელტეხილის პოვნა ქედში, რომელმაც მიიღო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელწოდება. ადგილობრივი მკვიდრნი (ტაჯიკები, ყირგიზები) ამტკიცებდნენ, რომ ქედში არსებობს უღელტეხილი ქაშალ აიაკი. თუმცა არც ერთ მათგანს არ ენახა ის, მოხუცებიც არ მოსწრებიან ისეთ ადამიანს, რომელიც გადასულიყო მასზე. ქაშალ-აიაკი ნახსენები იყო მხოლოდ ზღაპრებსა და ლეგენდებში, რომ თითქოს უხსოვარ დროში, როდესაც ქვეყანაზე ცხოვრობდნენ დევები და ცხრათავიანი გველეშაპები, გმირთაგმირები გადადიოდნენ ამ უღელტეხილით.

აკადემიის ქედის გადაკვეთა და ღარმოს კვანძის აღმოსავლეთ კიდიდან დასავლეთ კიდეზე გადასვლა მოხერხდა მხოლოდ 1928 წელს. ამ უღელტეხილს მთამსვლელებმა სახელი არ შეუცვალეს — ქაშალ-აიაკი უწოდეს.

თანდათანობით რუკებზე გაჩნდა ქედების სწორი მიმართულება, ზუსტდებოდა მწვერვალების მდებარეობა და სიმაღლე, საბოლოოდ დამტკიცდა ბელიაევის შეცდომა — რომ მან ღარმოდ მიიღო მანამდე სრულიად უცნობი მწვერვალი. ეს იყო ღარმოს კვანძის მთავარი გამოცანა. მხოლოდ 1932 წელს გახდა შესაძლებელი ღარმოს კვანძის ძირითადი მწვერვალების საბოლოო დაზუსტება. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი მათ შორის არის ბელიაევის მიერ დანახული პირამიდა სიმაღლით 7.495 მეტრი, ამავე დროს ეს იყო უმაღლესი მწვერვალი საბჭოთა კავშირში, მას ეწოდა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი, მეორე მწვერვალს, რომლის სიმაღლე 6.853 მეტრს აღწევდა, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის სახელი ეწოდა. დამტკიცდა, რომ ღარმოს კვანძის ცენტრში იმყოფებოდა სტალინის სახელობის მწვერვალი და ის აღმართული იყო აკადემიისა და პეტრე I ქედების გადაკვეთის წერტილში.

როდესაც დადგინდა, თუ რომელია უმაღლესი მწვერვალი საბჭოთა კავშირში, მან უმალ მიიპყრო მთამსვლელების ყურადღება. ფედჩენკოს ყინვარიდან, საიდანაც კარგად ჩანდა სტალინის პიკის მასივი, შესაძლებელი იყო სავარაუდო ასასვლელი გზის დაგეგმვა. ასეთი „გზა“ მიჰყვებოდა აღმოსავლეთის თხემს. ტექნიკური თვალსაზრისით ეს თხემი დასაძლევად რთული არ იყო, სამაგიეროდ უაღრეს სიძნელეს წარმოადგენდა მწვერვალის დიდი სიმაღლე. ასეთ მაღალ მწვერვალებზე ასვლის რაიმე გამოცდილება მაშინ საბჭოთა მთამსვლელებს არ გააჩნდათ. ამსვლელი ჯგუფი შეირჩა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მთამსვლელთაგან. ესენი იყვნენ ნ. ნიკოლაევი, ე. აბალაკოვი, დ. გუშჩინი, ი. შიანოვი. მწვერვალთან ბრძოლის პირველივე დღეებმა მთამსვლელები დაარწმუნა, თუ რამდენად ძნელი იყო დიდი სიმაღლეების დაპყრობა. თხემზე, ერთ-ერთი „გუშაგის“ გავლის დროს, დაიღუპა ნ. ნიკოლაევი. მან გადაწყვიტა „გუშაგის“ გავლა უთოკოდ. გუშაგი „ცოცხალი“ ქვებიდან შედგებოდა, იგი ყოველ ხელის მიკარებაზე იშლებოდა. ცოცვის დროს ერთი ქვა გადმოჰყვა ნ. ნიკოლაევის ხელს და მხარზე დაეცა. მან დაჰკარგა წონასწორობა, შეეცადა ჩასჭიდებოდა კლდეს, მაგრამ ქვების ახალმა ნაკადმა თან წაიღო. ამხანაგები ხედავდნენ, თუ როგორ სწრაფად მიექანებოდა ნ. ნიკოლაევი უფსკრულისაკენ, მაგრამ შველა შეუძლებელი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ვერ აიტანა დიდი სიმაღლე და გარდაიცვალა დამხმარე ჯგუფის წევრი ჯამბაი ორალე.

ავად გახდა დამხმარე ჯგუფის მრავალი წევრი. ავად გახდნენ მოიერიშე ჯგუფის წევრებიც გუშჩინი და შიანოვი, ამიტომ ისინი უკან დაბრუნდნენ. როდესაც მთამსვლელები გასცდნენ 7.000 მეტრს, აღმოჩნდა, რომ მწვერვალისკენ მიდიოდა მოიერიშეთა ჯგუფის მხოლოდ ერთი წევრი ევგენი აბალაკოვი, მისი თანამგზავრი დამხმარე ჯგუფიდან იყო. ასე იარა ორმა 7.350 მეტრამდე. აქ სიმაღლემ იმოქმედა აბალაკოვის თანამგზავრზე. მან დაჰკარგა საღი აზროვნების უნარი და აბალაკოვს წინადადება მისცა გაჩერებულიყო და აქ 7.350 მეტრ სიმაღლეზე საძილე ტომრების გარეშე, პირდაპირ თოვლზე გაეთიათ ღამე... მაშინ აბალაკოვმა მარტო განაგრძო გზა. მწვერვალამდე მხოლოდ რამდენიმე ათეული მეტრი დარჩა, როდესაც აბალაკოვმა უკანასკნელი ძალა დაჰკარგა. რკინის ნებისყოფამ თავისი გაიტანა, მან ცოცვით განაგრძო გზა და ისე ავიდა მწვერვალზე.

მეორედ იგივე გზით მწვერვალს მიაღწიეს 1937 წელს. ექსპედიციაში შედიოდა 5 მთამსვლელი. ჯგუფს სათავეში ედგა ო. არისტოვი. ექსპედიციის წინ უძღოდა მწვერვალის მისადგომების ახალი შესწავლა, რომელშიც მონაწილეობდა ცნობილი ქართველი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე. დიდი და ხანგრძლივი წვრთნის შემდეგ მოიერიშე ჯგუფი ო. არისტოვის, ე. ბელეცკის, ნ. გუსაკის და სხვათა შემადგენლობით შეუდგა მწვერვალზე ასვლას ე. აბალაკოვის გზით — აღმოსავლეთ თხემით.

ეს იყო დიდი მასშტაბის მქონე ექსპედიცია. მასში მონაწილეობას იღებდა მრავალი მთამსვლელი, რომლებიც დაყოფილ იყვნენ დამხმარე ჯგუფებად. ჯგუფები აღჭურვილ იყვნენ რადიოსადგურებით, მუდმივი კავშირი ჰქონდათ როგორც ექსპედიციის ძირითად ბაზებთან და ქალაქ ოშთან, ასევე ექსპედიციის ცალკეულ ბანაკებსა და რაზმებთან. თვითმფრინავებით შეისწავლეს ასასვლელი გზა, საჭიროების შემთხვევაში თვითმფრინავები ბანაკებს ამარაგებდნენ პროდუქტებითა და საჭურვლით.

ჯგუფი, მწვერვალის წინ, თხემის უკანასკნელ მონაკვეთზე მიდიოდა უთოკოდ. როგორც ჩანს, სიმაღლემ იმდენად მოადუნა ისინი, რომ მათ დაჰკარგეს სიფხიზლის გრძნობა. თხემი კი მეტად ვიწრო იყო და მის ორივე მხარეს ეშვებოდა ციცაბო ფერდი. აქ ფეხი დაუცდა ე. ბელეცკის. მაგრამ ორიოდე მეტრის შემდეგ წერაყინის ნისკარტით თავი შეიკავა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ დაეცურდა ჯგუფის ხელმძღვანელი ო. არისტოვი, ის ზურგით დაეცა და გასრიალდა ყინულოვან ფერდზე. როგორც ჩანს, სწრაფი რეაქციის უნარი სიმაღლის გამო მას უკვე დაკარგული ჰქონდა, დროულად ვერ იხმარა წერაყინა, დაეჯახა კლდეებს და 700 მეტრი სიმაღლის ქარაფიდან გადაიჩეხა.

ამ მძიმე დანაკარგის მიუხედავად ჯგუფმა წარმატებით დაძლია დარჩენილი მეტრები და ავიდა სტალინის პიკზე.

ასე შევსო რუკებზე „თეთრი ლაქა“. აღმოჩნდა მანამდე უცნობი მეტად მაღალი მწვერვალები და მთამსვლელები ავიდნენ მათ შორის უმაღლესზე. მაგრამ ღარმოს კვანძში რჩებოდა კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გამოცანა, — რა იყო სტალინის სახელობის მწვერვალის იმ კუთხეში, რომელსაც ქმნის აკადემიისა და პეტრე I ქედები—ღარმოს ყინვარის ზედა ცირკში. და ბოლოს, შესაძლებელია თუ არა ღარმოს ყინვარის მხრიდან ასვლა სტალინის პიკზე, რას წარმოადგენს მთასვლური თვალსაზრისით მოლოტოვის სახელობის მწვერვალი, შეიძლება თუ არა მასზე ასვლა?

გასაგებია, რომ ეს საკითხი მეტად აინტერესებდათ საბჭოთა მთამსვლელებს, განსაკუთრებით კიდევ იმიტომ, რომ ეს გამოუკვლევი რაიონი იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მწვერვალების მიდამოში.

„ღარმოს კვანძის“ გულში შესვლა დასავლეთიდან, ობიხინგოუს ხეობიდან, საკმაოდ ძნელ ამოცანას წარმოადგენდა. მის გადაწყვეტას მთამსვლელები ძირითადად 1947 წელს შეუდგნენ. ამ ცდებს, სამწუხაროდ, მოჰყვა მსხვერპლიც.

1953 წელს ამ რაიონში მუშაობდა სპორტსაზოგადოება „მეცნიერების“ დიდი ექსპედიცია, რომელიც ცდილობდა გასულიყო ღარმოს მყინვარის სათავეებში და დაედგინა აკადემიისა და პეტრე I ქედებზე განლაგებულ მწვერვალებზე ასვლის შესაძლებლობა, საბოლოოდ დაედგინა თუ რას წარმოადგენს ღარმოს ყინვარის ზედა ცირკი. მაგრამ ამ ექსპედიციამაც მარცხი განიცადა. 5 მთამსვლელის დაღუპვის შემდეგ ექსპედიცია უკან გამობრუნდა ისე, რომ ვერ მიაღწია ღარმოს ყინვარის სათავეებს. მაგრამ ექსპედიციამ ერთგვარად მაინც შეისწავლა ღარმოს ყინვარის ზედა დინება. ექსპედიციის დასკვნით, იმის მიხედვით, რაც მათ შორიდან დაინახეს, პეტრე I და აკადემიის ქედები ყინვარის ზედა ცირკისაკენ ეშვებოდნენ შვეული 1.000-1.500 მეტრის სიმაღლის კედლებით, რომლებზედაც გავლა მეტად ძნელი და იმდენად საშიში იყო, რომ კედლის დაძლევის შესაძლებლობა თითქმის ნულამდე დადიოდა. ან პეტრე I, ან აკადემიის ქედზე გასვლის გარეშე კი შეუძლებელი იყო ასვლა სტალინის პიკზე. ჩვენ უფრო გვაწყობდა აკადემიის ქედზე გასვლა, ვინაიდან აქედან შესაძლებლობა გვექნებოდა ავსულიყავით აგრეთვე მოლოტოვის სახელობის მწვერვალზედაც. „მეცნიერების“ ექსპედიციის წევრებს არ დაუნახავთ, თუ რა ხდებოდა ცირკის სიღრმეში. ასე, რომ რჩებოდა ერთადერთი შესაძლებლობა — იქნებ იქ იყო ადგილი, საიდანაც მწვერვალზე ასვლას შევძლებდით.

როდესაც საქართველოს ალპურ კლუბში ვარჩევდით მომავალი ასვლების გეგმებს, ბუნებრივია ჩვენი ყურადღება მიიპყრო ღარმოს კვანძის ამ უკანასკნელმა გამოცანამ. ეს იყო ის საკითხი, რომელიც თანამედროვე საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ ძირითად გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენდა. გავითვალისწინეთ ყველა წინა ექსპედიციის წარმატებისა და მარცხის მიზეზი. ჩვენთვის, ქართველი მთამსვლელებისათვის, ცხადი იყო ერთი, რომ საჭირო მეტად დიდი და გულდასმითი მზადება. ჩვენ არ გვქონდა არც სასიმაღლო ასვლებისა და არც ასეთი რაიონების შესაფერი საექსპედიციო გამოცდილება, არ გაგვაჩნდა არც სათანადო საჭურველი და ბოლოს, არ გვყავდა არც სათანადო ჯგუფი, რომელიც შეძლებდა ამ რთული და საპასუხისმგებლო საკითხის გადაჭრას.

ამიტომ მზადება შორიდან დავიწყეთ. გასულ წელს გადავწყვიტეთ გამოცდილების მიღების მიზნით წავსულიყავით ღარმოს კვანძის რაიონთან შედარებით ადვილად მისადგომ რაიონში. ასეთ რაიონს წარმოადგენდა პამირის სამხრეთი კუთხე—შაჰდარის ქედი.

(გაგრძელება იქნება)

• • •

სურათზე: მწვერვალზე ასვლის მომენტი. ქვევით — მოიერიშე ჯგუფის უფროსი მ. გვარლიანი (მარცხნივ) მითითებას აძლევს ჯგუფს სტალინის პიკის იერიშის წინ.

ო. გიგინეიშვილი ა. ივანიშვილი მ. გვარლიანი დ. ოზღაძე ჯ. მეძმარიაშვილი ლ. ახვლედიანი მ. ხერგიანი ი კახიანი

რეკორდი

კარელ ჩაპეკი

სიბრაზისგან სისხლი თავში ამივარდა. „მე მაწანწალა, შენა, — ვუყვირე, — შენ მოარტყი ქვა პუდილს? სტყუი!“ — „ბატონო ვახმისტრო, — მეუბნება, — ღმერთია მოწმე, რომ მე მოვარტყი! აბა ერთხელ კიდევ დადგეს იქ პუდილი. მე იმ ძაღლთაპირს ისევ ისე ვსთხლიშავ ქვასო“. გავიქეცი პუდილთან, განვუმარტე, რომ მსოფლიო რეკორდის საკითხი წყდებოდა, ვემუდარე, ნაპირზე წადი და ისევ შეაგინე იმ ბიჭს, იგი გაჯავრდება და ქვას კიდევ გესვრის-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, პუდილმა ცივი უარი მტკიცა. ამ ხალხს ხომ არავითარი მაღალი ინტერესები არ გააჩნია!

მე ისევ ვაშეკთან გავიქეცი. „შენ მატყუარა ხარ, — ვუყვირე, — მტკნარი სიცრუეა თითქოს შენ დაასახიჩრე პუდილი. პუდილმა მითხრა, თქვენ რომ ამბობთ, ის ბიჭი არ ყოფილაო“. — „ტყუილს ამბობს, — მიპასუხა ლისიცკიმ, — ნამდვილად მე ვიყავიო“. — „დაამტკიცე, — ვუბრძანე, — გადაისროლე ქვა ისევ იმ სიშორეზე“. ვაშეკი იცინის: „ბატონო ვახმისტრო, არ შემიძლია ტყუილუბრალოდ, პუდილს კი, საქმე რომ ჩავარდეს, კიდევ მოვარტყამდი, მასზე გაბრაზებული ვარო“. — „ვაშეკ, — ვემუდარები, — თუ იმ ადგილამდე გადაისვრი ქვას, გაგანთავისუფლებ, თუ არადა, ნაობახტში გამოგალპობ ადამიანის დაშავებისათვის. ნახევარი წლით ჩაგსვამ“. — „მერე რა, თუკი ზამთარში ჩავჯდები, არა უშავსო“, — მიპასუხა ვაშეკმა.

დასასრული. იხ. № 74.

ბედექი და დავაპატიმრე, კანონის სახელით. ახლა დერეფანში გველოდება. ბატონო მოსამართლე, ათქმევინეთ როგორმე, მართლა მან მოარტყა ქვა თუ ტრაბახობს. უთუოდ იუარებს ეგ მაწანწალა. მაშინ ერთი თვით მაინც უნდა ჩავსვათ ხელისუფლების შეცდომაში შეყვანისათვის, ანდა თაღლითობისათვის. სპორტში სიცრუე დაუშვებელია, ამისათვის სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს, ბატონო მოსამართლე... მე იმ ბიჭს ახლავე მოგგვრით.

— მაშ, ეს თქვენ ბრძანდებით ვაცლავ ლისიცკი? — მკაცრად მიმართა უბნის მოსამართლემ და კოპშეკრულმა შეათვალიერა ქერა პატიმარი. — აღიარებთ თუ არა, რომ თქვენ წინასწარმოფიქრებული განზრახვით ესროლეთ ეს ქვა ფრანტიშეკ პუდილს და სერიოზულად დაასახიჩრეთ?

—ბატონო მოსამართლე, — დაიწყო ჭაბუკმა, — საქმე ასე იყო: პუდილი იქ უწყალოდ სცემდა ბიჭუნას, მე მეორე ნაპირიდან გავძახე ბავშვისათვის ხელი ეშვა, იგი კი ჩემს ლანძღვა-გინებას მოჰყვა...

— მე თქვენ გეკითხებით: ესროლეთ თუ არა ქვა პუდილს? — გაჯავრდა მოსამართლე.

— ვესროლე, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ჭაბუკმა. — იგინებოდა, და აბა რა მექნა, ქვას ხელი დავავლე...

— დაგწყევლოს გამჩენმა, — წამოიძახა მოსამართლემ. — ტყუილს რად ამბობ, ადამიანო? ხომ იცით, რომ ხელისუფლების შეცდომაში შეყვანისათვის სასტიკად დაისჯებით? ჩვენთვის ცნობილია, რომ ქვა თქვენ არ გისვრიათ.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე ვისროლე, — ბუტბუტებდა ჭაბუკი.

მოსამართლემ მუნჯურად გადახედა ვახმისტრს. მან უმწეოდ აიჩეჩა მხრები.

— გაიხადეთ! — დაუღრიალა მოსამართლემ პატიმარს. — სწრაფად! შარვალიც!

ერთი წუთის შემდეგ ახმახი ჭაბუკი დედიშობილა იდგა მათ წინაშე და შიშისგან ცახცახებდა, ფიქრობდა, ახლა კი უთუოდ წამებას დამიწყებენ, ალბათ, ასეთია წესიო.

— შეხედეთ. ჰეიდ, ამის დელტისებრ კუნთს, — თქვა მოსამართლე ტუჩეკმა. ორთავე კუნთსაც დააკვირდით. რას იტყვით?

— არა უშავს რა, — მცოდნის კილოთი წარმოთქვა პან ჰეიდმა, — მაგრამ მუცლის კუნთები საკმაოდ არა აქვს განვითარებული. ბირთვის კვრისთვის კი მძლავრი მუცლის კუნთები აუცილებელია, ბატონო მოსამართლე. მათი საშუალებით მოძრაობს კორპუსი. ერთი, ნეტავი, ჩემი მუცლის კუნთები განახათ.

— მაინც, რაც არ უნდა იყოს, მუცელი კარგად აქვს განვითარებული. შეხედეთ, რა ბორცვები აზის... — ბუბუნებდა მოსამართლე. — ეშმაკმა დასწყევლოს, აი გულმკერდი, მესმის! — და მან თითი ჰკრა ვაშეკის მწითური თმით გაბარდულ მკერდს. — მაგრამ ფეხები სუსტი აქვს. სოფლელებს ყოველთვის სუსტი ფეხები აქვთ ხოლმე.

— იმიტომ, რომ ისინი არ ვარჯიშობენ, — კრიტიკულად შენიშნა პან ჰეიდმა. — განა ეს ფეხებია? ბირთვისმკვრელ სპორტსმენს ისეთი ფეხები უნდა ჰქონდეს, რომ ადამიანს თვალი ზედ რჩებოდეს.

— მობრუნდით, — შეუყვირა ჭაბუკს მოსამართლემ. — ახლა ზურგი ნახეთ! როგორია, თქვენის აზრით?



ერთი წუთის შემდეგ ჟანდარმმა ჰეიდმა კვლავ შემოჰყო თავი კარებში.
ნახ. გ. იაშვილისა.

— ბეჭებს ზემოთ კარგია, — განაცხადა პან ჰეიდმა, — ქვემოთკენ კი არაფრად ვარგა, ცარიელი ძვალი და ტყავია. არა, ბატონო მოსამართლე, ეს ქვა მაგის ნასროლი არაა.

— ჩაიცვით! — უყვირა ჭაბუკს მოსამართლემ. — აი რა, უკანასკნელად გეკითხებით: ისროლეთ თუ არა თქვენ ქვა?

— ვისროლე, — ჯორივით გაჯიუტდა ვაცლავ ლისიცკი.

— რეგვენო! — შეუტია მოსამართლემ. — თუ თქვენ ისროლეთ ქვა, მაშასადამე, თქვენ დააშავეთ ადამიანი, ამისათვის კი სამხარეო სასამართლო საპყრობილეში გამოგამწყვდევთ რამდენიმე თვით. გასაგებია? გეყოფათ მასხრობა, გამოტყდით, რომ ყველაფერი ეს გამოგონილი ამბავი იყო; მაშინ ოფიციალური პირების შეცდომაში შეყვანისათვის მე თქვენ მხოლოდ სამი დღით თავისუფლების აღკვეთას მოგისჯით. მაშ ასე: თქვენ ესროლეთ ქვა პუდილს?

— ვესროლე, — მოლუშვით უპასუხა ვაცლავ ლისიცკიმ. — იმან მეორე ნაპირიდან უშვერი ლანძღვა-გინებით ამიკლო...

— გაიყვანეთ, — დაიღმუვლა მოსამართლემ. — შეჩვენებული მატყუარა.

ერთი წუთის შემდეგ ჟანდარმმა ჰეიდმა კვლავ შემოჰყო თავი კარებში.

— ბატონო მოსამართლე, — გამწარებით წარმოთქვა მან, — აუცილებლად კიდევ რამე წაუმატეთ პატიმარს სასჯელზე სხვისი ქონების დაზიანებისთვისაც: პირველად რიყის ქვა ხომ მან ამოაძრო ყრილიდან, და ახლა იქ უბრალო კენჭიც აღარ მოიპოვება.

ჩეხურიდან თარგმნა შ. გვინჩიძემ.

უპრინციპო მსაჯობა

15 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი რესპუბლიკის პირველობაზე ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და ტ. ტ. ს-ის გუნდები.

ამ თამაშმა სამართლიანად მიიზიდა მრავალი მაყურებელი, ყველას აინტერესებდა ენახა საქართველოს ორი უძლიერესი გუნდების მატჩი. ტ. ტ. ს-ი რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი და „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს თასის მფლობელია. „ლოკომოტივი“ კი დაკომპლექტებულია ძლიერი მოთამაშეებით, ამიტომაც მაყურებლები ნამდვილ სპორტულ ბრძოლას, ლამაზ კომბინაციურ თამაშს მოელოდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რაშიც „დიდი წვლილი“ შეიტანა ი. ბოჭორიძის უპრინციპო მსაჯობამ. მან თამაშის დასაწყისში დაუშვა რამდენიმე უხეში შეცდომა. მსაჯის სისუსტე ბოროტად გამოიყენეს უდისციპლინო ფეხბურთელებმა და ყოველ სასტვენზე მოედანზე იყო დავა, კამათი და უხეში გამოხდომები.

ამ საქმეში განსაკუთრებული აქტიობა გამოიჩინეს ჯორბენაძემ და თოდრიამ (ორივე „ლოკომოტივიდან“), იაკუშევმა და კახნიაშვილმა (ტ. ტ. ს-ი). ისინი მსაჯმა ბოჭორიძემ დროულად ვერ ალაგმა. გაუთავებელმა „დისპუტებმა“ კიდევ უფრო დააბნია ისედაც დაბნეული მსაჯი. შეჯიბრებაზე დამსწრე მაყურებლის უკმაყოფილება სამართლიანია. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ აგრეთვე ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის მიმართაც, რომელიც ზერელედ ეკიდება მსაჯების დანიშვნას და ანგარიშს არ უწევს მათი მომზადების დონეს.

თავაშვებული მოთამაშეების საკითხს (ჯორბენაძე, თოდრია, იაკუშევი და კახნიაშვილი) განიხილავს რესპუბლიკის ფეხბურთის სექციის პრეზიდიუმი და სათანადო დადგენილებას გამოიტანს.

საბჭოთა მაყურებელს სურს მოედანზე იხილოს ნამდვილი სპორტული ბრძოლა, კარგი მსაჯობა და არა გაუთავებელი კამათი, უხეშობა და დამფრთხალი მსაჯის უმიზნო გადაადგილება ერთი კარიდან მეორისაკენ.

გ. ჯინჭარაძე,
საქართველოს სსრ ფეხბურთის სექციის თავმჯდომარე.
ვ. შავდია,
თბილისის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სპარტაკიადაში გამარჯვებულნი

ქუთაისის სპორტულ ბაზებზე რამდენიმე კვირას გრძელდებოდა ქალაქის საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 16 სახეობა.

შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივები დაყოფილ იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში საერთო მაჩვენებლების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა საავტომობილო ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი. მეორე ადგილზეა „სპარტაკის“, მესამეზე — აბრეშუმკომბინატის გუნდები.

ი. ბუხაიძე

მატჩი კალინინგრადში

14 სექტემბერს კალინინგრადში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის ოსტატთა მეორე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი ნაკრები და ერევნის „სპარტაკი“. შეხვედრა მოიგეს ერევნელებმა — 1:0.

საქართველოს პირველობა

14 სექტემბერს სტალინირის „სპარტაკმა“ თავის მოედანზე მიიღო თბილისის „დინამო“ I. მასპინძლებმა დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში, მაგრამ შემდეგ, ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, ანგარიშის შეცვლა ველარ მოახერხეს.

მეორე ნახევარში სპარტაკელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს — 2:0, რასაც დინამოელებმა ერთი საპასუხო ბურთით უპასუხეს. შეხვედრა მოიგო „სპარტაკმა“ — 2:1.

* * *

15 სექტემბერს ბათუმში პირველი წრის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგი“. შეხვედრის მეათე წუთზე მეტალურგელმა კილაძემ ზუსტად გამოიყენა 11 მეტრიანი საჯარიმო — 1:0. ტაიმის ბოლომდე ორივე გუნდის ცდას — შეეცვალათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია. მხოლოდ მეორე ნახევრის 29-ე წუთზე ცქვიტინიძის დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 1:1. გუნდებმა სატურნირო ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს.



* * *

ქობულეთში ადგილობრივი და მახარაძის „კოლმეურნის“ თანაკლუბელთა მატჩში ერთადერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი მახარაძელთა სასარგებლოდ გაიტანა ბ. ტაბიძემ. შეხვედრა დამთავრდა მახარაძელთა გამარჯვებით — 1:0.

* * *

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „ლოკომოტივი“ და ტ. ტ. ს-ი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

* * *

სურათზე: თბილისის „ლოკომოტივისა“ და ტ. ტ. ს-ის შეხვედრის მომენტი.

ყოველი მხრიდან

სოფია. აქ შედგა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა „ვოივოდინას“ (იუგოსლავია) და „დინამოს“ (ბულგარეთი) შორის. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 3:1 იუგოსლაველთა სასარგებლოდ. მეორე ტაიმში ინიციატივა კვლავ იუგოსლაველთა მხარეს იყო და შეხვედრა დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

* * *

ზაგრები. ადგილობრივმა „დინამომ“ ითამაშა პრაღელ თანაკლუბელებთან. მატჩის ანგარიშია 1:1.

* * *

როსტოკი. ბერლინის „ფორვერტსი“ შეხვდა პრაღის „ტანკისტას“. ერთადერთი ბურთი, რომელიც გერმანელებმა გაიტანეს 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან, გადამწყვეტი აღმოჩნდა

* * *

პრაღა. საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის „რეგიერო“ და ჩეხოსლოვაკიის „კრილია ვლასტი“. თამაში მოიგეს უნგრელმა ფეხბურთელებმა — 5:2.

* * *

ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდები საერთაშორისო მატჩებში გამოდიან საფრანგეთსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში. „ვაკერმა“ ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა საფრანგეთის ჩემპიონ „რეიმსთან“ და 3:1 კლუბ „მარსელთან“. ავსტრიის ჩემპიონმა „ვიენამ“ დაამარცხა ჯერ „ნიცა“ — 3:0, ხოლო შემდეგ „რეიმსი“ — 6:3. „სპორტკლუბმა“ (ვენა) მოუგო შეხვედრა „მიუნჰენს“ (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა). შეხვედრის ანგარიშია 3:2.

* * *

დაიწყო ევროპის თასის გათამაშება ფეხბურთში. საბოლოოდ გამოვლინდა მასში მონაწილე გუნდები. ესენია: საარის „საარბრიუკენი“, იტალიის „მილანი“, ჰოლანდიის „ენიჰოფენი“, ავსტრიის „რაპიდი“, საფრანგეთის „რეიმსი“, დანიის „ორხუსი“, შოტლანდიის „ჰიბერნიანსი“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „როტვეის ესენი“, ესპანეთის „რეალი“, შვეიცარიის „სერვეტი“, ბელგიის „ანდერპეფტი“, უნგრეთის „ვერეშ ლობოგო“, პორტუგალიის „სპორტინგ-კლუბი“, იუგოსლავიის „პარტიზანი“, შვეციის „იუნგორდენი“ და პოლონეთის „გვარდია—ვარშავა“. ლისაბონში გაიმართა ევროპის თასის გათამაშების პირველი მატჩი. ითამაშეს „სპორტინგ-კლუბმა“ (პორტუგალია) და იუგოსლავიის „პარტიზანმა“. შეხვედრის ანგარიშია 3:3.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, მორიგისა და გამომშვებისა — 8-38-25.

უე 04188

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.